

**DOCUMENTS ABOUT KARTLI REGENT LEVAN PRESERVED IN THE
VATICAN PROPAGANDA FIDE HISTORICAL ARCHIVE**

**ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული
დოკუმენტები ქართლის ჯანიშინის - ლევანის შესახებ**

Giorgi Sosiashvili

Doctor of History, Professor of Gori State University,

Gori, Georgia

ORCID: 0000-0002-2406-8662

(+995) 577 24 00 88; giorgisosiashvili@gmail.com

Tatia Mtvarelidze

PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

ORCID: 0009-0004-4414-5647

(+995) 595 209 153; tatia.mtvarelidze@tsu.ge

Abstract

The scientific project submitted by the research team from Gori State University - “Research on Georgian and Georgia-Related Scientific Sources Preserved in the Vatican Propaganda Fide Historical Archive” (project code: HE-22-2353; Head of the project, Doctor of History, Professor Giorgi Sosiashvili; Project coordinator, master of philology, Tatia Mtvarelidze; Scientists participating in the project: Doctor of History, Professor Eldar Mamistvalishvili; Doctor of History, Professor Murman Papashvili; Doctor of Philology, Natia Mirotadze; Doctor of Philology, Nino Dianosashvili; Master of Philology, Tamar Koshoridze) was funded in 2022 by the Shota Rustaveli National Science Foundation, within the framework of the Grant Competition for scientific Research on Georgian Material and Spiritual Heritage in Georgia and Abroad (HE-2022).

The financing of the scientific project was preceded by the official visit of the President of Georgia, Salome Zurabishvili, to the Holy See. Following a meeting with His Holiness Pope Francis, the Vatican authorities expressed full support for Georgian scientists in their research endeavors within the Vatican archives and libraries, culminating in the signing of a memorandum of cooperation between Georgia and the Vatican. This document grants Georgian researchers unrestricted access to conduct research. The aforementioned project, funded by the Rustaveli National Science Foundation, is overseen by the Ministry of Education, Science, and Youth Affairs of Georgia. Its primary aim is to uncover previously unknown documents related to Georgia, preserved in the Vatican’s Propaganda Fide Historical Archive, and present them to the public. In addition to this support, the Tamaz Bekaia Educational Foundation has emerged as a sponsor, providing accommodation for the Georgian scientists involved in the project by renting an apartment in Rome, Italy, for the project’s duration. In April 24-26, 2023, an official visit to the Vatican was conducted in connection with the preparatory work for the project.

The delegation from Georgia included Giorgi Sosiashvili (then rector of Gori State University), Zurab Zurabashvili (Head of the International Service of Gori State University), Tatia Mtvarelidze (researcher and coordinator of the project), and Levan Bekaia (Head of the Tamaz Bekaia Educational Foundation). The meeting between the Georgian working group and representatives of the Propaganda Fide Historical archive was organized by the Embassy of Georgia to the Holy See, with direct involvement from the ambassador, Ketevan Bagrationi-Mukhranbatoni. The official meeting took place within the Propaganda Fide Historical Archive itself. The meeting was attended by Don Flavio Belluomini, the director of the archive, and Valentina Karakhanian, the archivist. The representatives of the Propaganda Fide Historical Archive presented seven archival volumes from their collection that contain documents related to Georgia. These documents primarily consist of reports sent to the Congregation for the Evangelization of Peoples by Catholic missionaries working in Georgia, written mainly in Italian. Additionally, the collection includes letters written in Georgian language by Georgian kings and dignitaries, addressed to the Popes and Cardinals. Some of these letters have already been published by Georgian scholars. According to the Propaganda Fide Historical Archive representatives, aside from these seven volumes, materials concerning Georgia are scattered across various collections within the Archive, indicating that further significant sources may still be uncovered. Numerous documents about Georgia remain housed within the archive, many of which are in Italian, with others written in Georgian, Latin, French, Greek etc. These reports, mostly authored by Catholic missionaries, document their travels to Georgia and other Eastern countries during the XVII-XIX centuries. There are numerous texts within the archive that, while not directly focused on Georgia, contain valuable information about the region. These texts, part of the reports sent to the Vatican by missionaries dispatched by Propaganda Fide Congregation to promote Catholicism, primarily address the spread of the Catholic faith. However, they also review the political situation of Eastern countries, describe the lives of various individuals, and assess the outcomes of Catholic missionary efforts. Some of these reports include highly significant information about Georgia, particularly regarding its political, economic, social, and cultural life during a period of division into separate kingdoms. In addition to the documents written in Italian and Latin, the Propaganda Fide Historical Archive also preserves letters written in Georgian. These letters, sent by the kings, princes, clergymen and noble families of a politically fragmented Georgia during times of hardship, sought aid from the West, seeing the Pope of Rome as the key figure capable of coordinating Western political forces. This context explains why the spread of Catholicism became increasingly relevant in Georgia during the seventeenth and eighteenth centuries. The development of a strategy for the propagation of Catholicism in the East was entrusted to The Congregation for the Propagation of the Faith (Propaganda Fide), operating under the directives of the Vatican. In their attempts to leverage the Vatican's interest in spreading Catholicism, Georgian monarchs and nobles, besieged by Islamic states and facing dire circumstances, sought to utilize this opportunity to their advantage. Consequently, Catholic missionaries were able to cultivate a conducive environment for their work in Georgia.

As previously mentioned, the Vatican archives house numerous letters sent from Georgia by its monarchs and nobles, alongside documents in foreign languages. Many of these correspondences are already recognized within Georgian historiography. It is noteworthy that while many esteemed researchers have examined other archives, M. Tamarashvili's contributions stand out. His significant efforts salvaged a vast array of documents, both Georgian and non-Georgian, from potential obscurity. His work culminated in the publication of the invaluable volume titled "History of Catholicism among Georgians", which serves as a priceless resource for future generations. Several scholars have continued the work initiated by M. Tamarashvili, including D. Gamezardashvili, I. Tabagua, M. Papashvili, E. Mamistvalishvili, J. Vateishvili and others. These researchers have contributed to the academic discourse by introducing historical documents, reports, and records of Catholic missionaries into our scholarly circulation. However, it is important to note that many documents written in foreign languages (such as Italian, Latin, Greek, Persian, Armenian etc.) and in Georgian remain unknown and await discovery. Numerous documents that M. Tamarashvili copied by hand or summarized for his audience still require thorough examination. Within some letters, mechanical inaccuracies may be concealed, and certain sections may have been omitted to expedite the copying process. A comprehensive analysis of these materials is likely to illuminate various historical facts and events that have yet to be clarified.

Therefore, with the presented article we aim to begin the process of publishing previously unknown or little-known documents preserved in the Propaganda Fide Historical Archive. This endeavor is anticipated to be of significant interest to researchers studying the history of late medieval Georgia.

The letter preserved in the Propaganda Fide Historical Archive was dispatched by Levan Batonishvili, the youngest son of Vakhtang V Shahnava (1658-1675), from Georgia to Pope Clement XI, the head of the Catholic Church. During this period, Kartli had been conquered by Iranian forces, and an Iranian garrison was stationed in Tbilisi, oppressing the Christian Georgians. Following the death of Vakhtang V Shahnava, Giorgi XI ascended to the royal throne of Kartli with the Shah of Iran's permission, although he struggled to adapt to Iranian rule. Levan Batonishvili's letter reveals that the king of Kartli faced humiliation at the Persian court due to the mistreatment of Georgian peasants by Iranian authorities. The Shah demanded that the king of Kartli send his younger brother Levan as a hostage. Consequently, Levan was sent to one of Iran's fortresses. The Batonishvili family, fearing the possibility of captivity, fled from Georgia. In his correspondence to the Pope, Levan articulates the significant hardships and suffering he endured during this tumultuous period. He was compelled to renounce Christianity and convert to Islam; however, he emphasized that this conversion was only outward, deeply affecting the Georgian prince. The Shah, recognizing Levan Batonishvili's conviction in the superiority of the Roman Catholic Church, monitored him closely. In response to his precarious situation, Levan requested that the Pope designate a Catholic clergyman to assist him, although this clergyman would need to wear secular clothing to avoid raising suspicions of re-Christianization, which could provoke the Shah's anger and pose a significant risk to his family.

Although Levan did not have family with him in Iran, he mentioned in his letter that his family had “fled” from Georgia out of fear of capture, indicating that the threat of their apprehension by Iranian forces persisted. Within the Propaganda Fide Historical Archive, particularly in the file containing Levan Batonishvili’s letter written in Georgian and sent from Georgia, there are additional documents pertaining to the Georgian prince’s exile in Iran. Notably, these documents were collectively discussed during a general meeting of cardinals on November 26, 1708. Alongside Levan’s letter, there is a summary report of the case, a record of the council’s decision, and, most significantly, an explanatory letter from Alessio da Milano, a Capuchin missionary closely associated with Levan Batonishvili. This letter provides additional context to the information contained in the Georgian prince’s correspondence, shedding further light on the political situation in Kartli, the representatives of the Bagrationi royal family under pressure from Iran, etc.

The history of the creation of Levan Batonishvili’s letter is also interesting. The documents accompanying the letter reveal that Levan, being in Isfahan, sent a signed and sealed blank sheet to Vakhtang VI and probably Sulkhan-Saba Orbeliani and asked them to write a letter to the Pope on his behalf. The information presented in the archival documents and the comparative analysis of calligraphy attested that the letter of Levan was most probably written by Sulkhan-Saba Orbeliani.

Keywords: Vatican Archives, Propaganda Fide, Missionaries in Georgia, Levan of Kartli, Vakhtang VI, Alessio da Milano, Catholicism.

გიორგი სოსიაშვილი

ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი,
საქართველო, გორი.
ORCID: 0000-0002-2406-8662
(+995) 577 24 00 88; giorgisosiashvili@gmail.com

თათია მთვარელიძე

კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი / ევროპული ენებისა და
ლიტერატურის მაგისტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი.
ORCID: 0009-0004-4414-5647
(+995) 595 209 153; tatia.mtvarelidze@tsu.ge

აბსტრაქტი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2022 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (HE-2022 საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევა - 2022) ფარგლებში, დაფინანსდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ წარდგენილი

სამეცნიერო პროექტი: „ვატიკანის Propaganda Fide-ს საისტორიო არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული წყაროების სამეცნიერო კვლევა“ (პროექტის ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი; პროექტის კოორდინატორი: ფილოლოგიის მაგისტრი თათია მთვარელიძე; პროექტის მონაწილე მეცნიერები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მურმან პაპაშვილი; ფილოლოგიის დოქტორი ნათია მიროტაძე; ფილოლოგიის დოქტორი ნინო დიანოსაშვილი; ფილოლოგიის მაგისტრი თამარ კოშორიძე). სამეცნიერო პროექტის დაფინანსებას წინ უძღოდა საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი ვატიკანში. რომის პაპთან, ფრანცისკესთან შეხვედრის შემდეგ, ვატიკანის მხარემ გამოხატა მზაობა ქართველი მეცნიერების მიერ ვატიკანის არქივებსა და წიგნთსაცავებში კვლევითი მუშაობის მხარდასაჭერად, რაც საქართველოს და ვატიკანს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით დადასტურდა. აღნიშნული დოკუმენტი ქართველ მეცნიერებს შეუფერხებელი კვლევადიების შესაძლებლობას აძლევს. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს პატრონაჟს უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა საქმეთა სამინისტრო. პროექტს, რომლის მიზანია, საქართველოს შესახებ ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული დღემდე უცნობი ან აქამდე ფრაგმენტულად ცნობილი დოკუმენტების გამოვლენა და საზოგადოებისთვის გაცნობა, სპონსორიც გამოუჩნდა თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სახით, რომელმაც იტალიაში, კერძოდ, ქალაქ რომში ქართველი მეცნიერებისთვის საცხოვრებელი ბინა იქირავა. 2023 წლის 24-26 აპრილს, პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ვატიკანში ოფიციალური ვიზიტი შედგა. ქართულ დელეგაციაში შედიოდნენ: გიორგი სოსიაშვილი (იმ დროს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრი), ზურაბ ზურაბაშვილი (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამსახურის ხელმძღვანელი), თათია მთვარელიძე (პროექტის კოორდინატორი, მკვლევარი), ლევან ბექაია (თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის ხელმძღვანელი). პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის წარმომადგენლებთან სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ორგანიზებას უწევდა საქართველოს საელჩო წმინდა საყდართან. უშუალოდ იყო ჩართული მოლაპარაკებებში მაშინდელი ელჩი, ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონი. ოფიციალური შეხვედრა შედგა პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში, რომელსაც ესწრებოდნენ არქივის ხელმძღვანელი - დონ ფლავიო ბელუომინი და არქივარიუსი - ვალენტინა კარახანიანი. შეხვედრისას თანამშრომლებმა გვაჩვენეს არქივში დაცული შვიდი საარქივო ტომი, რომლებშიც თავმოყრილია დოკუმენტები საქართველოს შესახებ. ესენია: ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებისაგან პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი გაგზავნილი, იტალიურ და ლათინურ ენებზე დაწერილი მოხსენებები. აქვია ქართველი მეფეების, თუ წარჩინებული

პირების მიერ საქართველოდან რომის პაპებისა და კარდინალების სახელზე გაგზავნილი ქართულენოვანი წერილები, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია. საერთოდ, ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს არქივში საქართველოს შესახებ მრავალი დოკუმენტი ინახება. აქედან ბევრი მათგანი იტალიურ ენაზეა, გვხვდება ასევე ლათინურ და ბერძნულ ენებზე დაწერილი რელაციებიც, რომლებიც, ძირითადად, საქართველოში, ან აღმოსავლეთის ქვეყნებში XVII-XIX საუკუნეებში ნამყოფი კათოლიკე მისიონერების კალამს ეკუთვნის. პროპაგანდა ფიდეს მიერ კათოლიციზმის გასავრცელებლად გაგზავნილი პატრების მიერ მომზადებულ ანგარიშებში (რომლებიც ძირითადად კათოლიციზმის გავრცელებას ეხება) აღწერილია მათ სამოღვაწეო არეალში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკური მდგომარეობა, კათოლიკური აღმსარებლობის გავრცელების პერსპექტივები და სხვ. ზოგიერთ ასეთ ანგარიშში საქართველოს შესახებ უაღრესად საინტერესო ინფორმაციაა შემონახული. ეს ეხება სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, თუ კულტურულ ცხოვრებას.

როგორც აღვნიშნეთ, ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს არქივში, ლათინურ, იტალიურ და ბერძნულ ენაზე დაწერილი დოკუმენტების გარდა, შემორჩენილია ქართულენოვანი წერილებიც. მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფი, დანაწევრებული ქვეყნის მეფე-მთავრები, სასულიერო პირები თუ წარჩინებული საგვარეულოების წარმომადგენლები ერთადერთ ხსნას დასავლეთთან ურთიერთობის გაძლიერებაში ხედავდნენ. დასავლური სამყაროს პოლიტიკურ ძალთა მაკოორდინირებლად კი მათ რომის პაპი ესახებოდათ. კათოლიციზმის გავრცელების სტრატეგიის შემუშავება ვატიკანის მითითებით, პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციას ევალებოდა. ისლამური სახელმწიფოებისაგან შევიწროებულმა ქართველმა მონარქებმა და დიდგვაროვნებმა ვატიკანის ინტერესის სათავესო მიზნებისთვის გამოყენება სცადეს და კათოლიკე მისიონერებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობისთვის ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნეს. ვატიკანის არქივებში დაცული წყაროების გარკვეული ნაწილი უკვე ცნობილია ჩვენი ისტორიოგრაფიისთვის. პროპაგანდა ფიდეს თუ სხვა არქივებში არაერთ მკვლევარს უმუშავია. აქედან აღსანიშნავია მ. თამარაშვილის განსაკუთრებული ღვაწლი, რომელმაც კოლოსალური შრომა გასწია - უამრავი დოკუმენტი (როგორც ქართული, ისე არაქართული) წარხოცას თუ დავიწყებას გადაარჩინა და შთამომავლობას თავისი უნიკალური წიგნის - „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ სახით, მართლაც ფასდაუდებელი განძი დაუტოვა. მ. თამარაშვილის მიერ დაწყებული საქმე არაერთმა მეცნიერმა გააგრძელა, მათ შორის უნდა გამოვყოთ: დ. გამეზარდაშვილის, ი. ტაბაღუას, ჯ. ვათეიშვილის, მ. პაპაშვილის, ე. მამისთვალის და სხვათა მიერ ჩვენს სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ისტორიული დოკუმენტები, კათოლიკე მისიონერების რელაციონები, ჩანაწერები, თუ ნარატიული თხზულებები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი დოკუმენტი ჯერ კიდევ უცნობია და დღის სინათლეს ელოდება. დაზუსტებას, ან ხელახლა გამოქვეყნებას

საჭიროებს ბევრი ისეთი წყაროც, რომელიც თავის დროზე მ. თამარაშვილმა ხელით გადაწერა, ან მათი შინაარსი გააცნო მკითხველს. ზოგიერთ წერილში შესაძლოა გაპარული იყოს მექანიკური უზუსტობა, ან გადაწერისას, დროის დაზოგვიდან გამომდინარე გამოტოვებულია გარკვეული ნაწილი, რომლის გაცნობაც კიდევ უფრო მეტ სინათლეს მოჰფენს დღემდე დაუზუსტებელ ბევრ ისტორიულ ფაქტსა თუ მოვლენას.

ზემოთ მითითებული პროექტის ფარგლებში ვიწყებთ ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული, უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი დოკუმენტების გამოქვეყნებას, რაც, ვფიქრობთ, გვიანშუა-საკუნეების საქართველოს ისტორიის მკვლევრებისთვის უდავოდ საინტერესო იქნება.

ამჯერად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი წყარო ქართლის ჯანიშინს - ლევანს (1703-1704 წ.წ.) ეხება. კერძოდ, ეს გახლავთ, ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675 წ.წ.) უმცროსი ვაჟის, ირანში მძევლად მყოფი ლევან ბატონიშვილის მიერ რომის პაპის, კლემენტი XI-ის სახელზე გაგზავნილი წერილი. ქართლი ამ დროს ირანელებს ჰქონდათ დაპყრობილი. თბილისის ციხეში მათი გარნიზონი იდგა, რომელიც ქრისტიან ქართველებს ავიწროებდა. ვახტანგ V შაჰნავაზის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტზე ირანის შაჰის ნებართვით გიორგი XI ავიდა, რომელიც ირანელთა ბატონობას ვერ ეგუებოდა. ლევან ბატონიშვილის წერილიდან ირკვევა, რომ ირანელი მეციხოვნეების შევიწროების გამო, ქართლის მეფეს მოღალატე ქართველები სპარსეთის შაჰის კარზე აბეზღებდნენ. შაჰმა გიორგი XI-ს უმცროსი ძმა - ლევანი მძევლად მოსთხოვა. ქართველი ბატონიშვილი ირანის ერთ-ერთ „ავს“ ციხე-სიმაგრეში გაუგზავნიათ. შაჰთან მძევლად წაყვანილი უფლისწულის ოჯახი, ტყვეობის შიშით, საქართველოდან გახიზნულა. ლევანი, როგორც რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, დიდ გაჭირვებასა და ტანჯვაში ყოფილა. იგი აიძულებს, რომ ქრისტიანობა დაეგმო და ისლამი მიეღო, თუმცა ეს მხოლოდ გარეგნულად გაუკეთებია. ქართველი უფლისწული ამას ძალზე განიცდიდა. ლევან ბატონიშვილზე შაჰმა თვალთვალი დააწესა. რომის კათოლიკური ეკლესიის უპირატესობაში დარწმუნებული ლევანი პაპს მისთვის კათოლიკე სასულიერო პირის გამოყოფას სთხოვდა, რომელსაც საერო ტანსაცმელში უნდა ევლო, რადგან შესაძლებელი იყო ქართველი ბატონიშვილი შაჰთან დაებეზღებინათ, რაც არა მხოლოდ ლევანს, არამედ მის სახლელსაც საფრთხეს შეუქმნიდა.

პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში, კერძოდ, იმ საარქივო ტომში, რომელშიც ლევან ბატონიშვილის წერილი ინახება, ირანში გადახვეწილ ქართველ უფლისწულთან დაკავშირებით სხვა დოკუმენტებიც არის დაცული. ერთ საქმედ შეკრული საბუთები, როგორც ირკვევა, კარდინალთა საერთო კრებას 1708 წლის 26 ნოემბერს განუხილავს. ლევანის წერილთან ერთად აქ თავმოყრილია: საქმის კრების შემაჯამებელი ოქმი, კრების გადაწყვეტილების ამსახველი ჩანაწერი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კაპუცინი მისიონერის, ლევან ბატონიშვილთან დაახლოებული ალესიო და მილანოს (მილანელი) განმარტებითი დოკუმენტი, რომელიც კიდევ უფრო ავსებს ქართველი უფლისწულის წერილში მოცემულ ინფორმაციას

ქართლის პოლიტიკური მდგომარეობის, ირანის წნეხის ქვეშ მყოფი ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელთა შესახებ და სხვ.

საინტერესოა ლევან ბატონიშვილის ამ წერილის შექმნის ისტორიაც, რომელსაც წერილის თანმხლები დოკუმენტები ჰყვებიან ნათელს: ისპაჰანში მყოფმა ლევანმა ბეჭედდასმული სუფთა ფურცელი გამოუგზავნა ვახტანგ VI-ს და სულხან-საბა ორბელიანს და სთხოვა, რომ მისი სახელით წერილი მიეწერათ რომის პაპისთვის. საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია და კალიგრაფიის შედარება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული წერილი მართლაც სულხან-საბა ორბელიანის ხელითაა დაწერილი.

საკვანძო სიტყვები: ვატიკანის არქივები, პროპაგანდა ფიდე, მისიონერები საქართველოში, ქართლის ჯანიშინი, ლევან ბატონიშვილი, ვახტანგ მეექვსე, ალესიო მილანელი, კათოლიციზმი.

შესავალი

პროექტის ფარგლებში ვიწყებთ ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული, უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი დოკუმენტების გამოქვეყნებას, რაც, ვფიქრობთ, გვიანშუასაკუნეების საქართველოს ისტორიის მკვლევრებისთვის უდავოდ საინტერესო იქნება.

მეთოდები

სტატიაში წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება საარქივო ევრისტიკის, წყაროთმცოდნეობითი სინთეზისა და კომპარატივისტიკის, წყაროთმცოდნეობითი კრიტიკისა და ანალიზის, პალეოგრაფიულ, არქეოგრაფიულ, ემპირიული და სისტემური ანალიზისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს.

შედეგები

ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში წარმოებული კვლევის შედეგად, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს ისტორიული წყარო, რომელიც თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ინფორმაციითავსებს ქართულ წყაროთმცოდნეობას საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების, ჩვენი ქვეყნის და ვატიკანის ურთიერთობებისა და, ზოგადად, XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი უცნობი ეპიზოდის შესახებ.

საარქივო კვლევამ გამოავლინა შემდეგი: ქართულ ენაზე შესრულებული უთარიღო წერილი, რომელსაც ლევან ბატონიშვილის ბეჭდით არის დამოწმებული და რომის პაპის - კლემენტი XI-ის სახელზეა, ქართველი უფლისწულის თხოვნით, საქართველოში დაიწერა. წერილს თარიღი არ ახლავს, თუმცა თანმხლებ წყაროებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი 1704 წლიდან (ლევანის ისპაჰანში დაბრუნება) 1707 წლის 1 აგვისტომდე (ალესიო და მილანოს წერილის თარიღი) პერიოდში უნდა დაწერილიყო. წერილი, რომლითაც ლევან ბატონიშვილი რომის პაპს საკუთარ სამწყსოში მიღებასა და მისთვის

ისპაჰანში კათოლიკე მისიონერის გამოყოფას სთხოვს, სავარაუდოდ, სულხან-საბა ორბელიანის ხელითაა დაწერილი, რასაც კალიგრაფიის გარდა, იქვე არსებულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ცნობებიც ადასტურებს: ისპაჰანში, ტყვეობაში მყოფი ლევან ბატონიშვილის თხოვნით, ვახტანგ VI-მ და, სავარაუდოდ, სულხან-საბა ორბელიანმა ეს წერილი ისპაჰანიდან გამოგზავნილ, ლევანის მიერ ხელმოწერილ სუფთა ფურცელზე დაწერეს, რომლის პაპისტოვის გადაცემაზეც საქართველოში მყოფმა კაპუცინმა მისიონერმა - ალესიო და მილანომ აიღო პასუხისმგებლობა.

როგორც კვლევის ძირითად შედეგს, დანართის სახით წარმოვადგენთ პროპაგანდა ფიდეის საისტორიო არქივში მიკვლეული წყაროების ტექსტებსა და თარგმანებს.

მსჯელობა

პოლიტიკური ვითარება საქართველოში XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის I მეოთხედში

XVIII საუკუნის დასაწყისში, გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მყოფი, სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო, უკიდურესად რთულ სიტუაციაში იმყოფებოდა. გამწვავებულ საგარეო ფაქტორებს, რასაც სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე დიდი და თანაც მტრულად განწყობილი სახელმწიფოს პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ქმნიდა, თან ერთვოდა ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელთა მხრიდან ქართლის, კახეთის, თუ იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდების მძაფრი წყურვილი და, ამავდროულად, დასუსტებულ ქვეყანაში აღმოცენებული სათავადო-სენიორიების მფლობელთა გარე ძალებთან კოლაბორაციონული ურთიერთობა. 1658 წელს გამეფებული ვახტანგ V (1658-1675 წ.წ.) დამოუკიდებლად შეეცადა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის წარმართვას. ვახტანგის და მის გარშემო შეკრებილი მოღვაწეების მთავარი მიზანი ქვეყნის გაერთიანება იყო. ამ მხრივ, ქართლის მეფემ არაერთი ნაბიჯი გადადგა. კახეთის გავლენის ქვეშ მოსაქცევად მან ძლიერი ფეოდალი, 1659 წლის კახეთის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი - ზაალ არაგვის ერისთავი მოაკვლევინა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 344; ჯავახიშვილი, 2020: 121), რომელიც ელიზბარ ქსნის ერისთავთან ერთად ჯერ კიდევ როსტომ ხანის სიცოცხლეში ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებულ ვახტანგს დაუმორჩილობლობას უცხადებდა. არაგვის ურჩი ერისთავის თავიდან მოცილების შემდეგ ვახტანგმა ზაალის ძმისწულები დააწინაურა: ოთარს ერისთავობა უბოძა, იასონს დედოფლის სახლთუხუცესობა, ხოლო ედიშერს - მსაჯულთუხუცესობა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 344). ვახტანგ V-ის მთავარი მიზანი ქვეყნის გაერთიანება იყო. ქართლის მეფემ კახეთის გავლენის სფეროში მოქცევისთანავე ყურადღება დასავლეთ საქართველოს მიაპყრო. ცნობილია, რომ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ბაგრატ IV (1660-1681 წ.წ.), რომელიც მცირე ხანში დედინაცვალმა, თეიმურაზ I-ის ქალიშვილმა დარეჯან დედოფალმა ტახტიდან ჩამოაგდო და თვალები დათხარა. თუმცა მალე დარეჯანი და მისი ქმრად მოწვეული იმერეთის ბაგრატიონების

შორეული ნათესავი ვახტანგ ჭუჭუნიაშვილი ვამიყ დადიანმა შეიპყრო და თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. ვამიყ დადიანსა და ვახტანგ V-ს შორის შეთანხმება შედგა და იმერეთის სამეფო შუაზე გაიყო. საზღვარი მდ. ბუჯისწყალთან გადიოდა. მალე ეს შეთანხმებაც დაირღვა. ქართლის მეფემ დადიანის წინააღმდეგ ჯარი შეჰყარა, რომელიც იმერეთიდან თავის მამულში გაიქცა. ვახტანგმა ოდიშზე ილაშქრა და დადიანების ტახტზე თავისი მომხრე შამადავლე იოსების ძე დასვა, რომელიც ბიძის - ლევან II დადიანის პატივსაცემად, ლევან III დადიანად იწოდა. მას ვახტანგმა სილამაზით ცნობილი ძმისწული - თამარი მიათხოვა [გურიის მთავრის - ქაიხოსრო I გურიელის ასული თუთა ცოლად შეირთო მეფის ძემ - ლევან ბატონიშვილმა (ჯავახიშვილი, 2020: 121)].

ზუგდიდში მყოფ ვახტანგ V-ს მორჩილება გამოუცხადა აფხაზეთის მთავარმა შერვაშიძემ. ქართლის მეფე დადიანების სატახტოდან ქუთაისში ჩავიდა, სადაც დიმიტრი გურიელი ეახლა და მისი ქვეშევრდომობა აღიარა. ვახტანგმა იმერეთის მეფედ 14 წლის უფლისწული არჩილი გამოაცხადა. ქართლის მეფის სკიპტრის ქვეშ ფაქტიურად მთელი საქართველო გაერთიანდა, მათ შორის კახეთიც, რომელიც 1659 წლის აჯანყების შემდეგ ვახტანგის მართველობაში გადავიდა, თუმცა ეს გაერთიანება დროებითი იყო. 1639 წლის ზავით, საქართველო კვლავ ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს. დასავლეთ საქართველო ოტომანთა ხელში გადავიდა, აღმოსავლეთი - ირანელებს დარჩათ. სწორედ ამან განაპირობა იმერეთის მეფედ გამოცხადებული არჩილის უკან გაწვევა. იმერეთში კვლავ ბაგრატ IV გამეფდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 346). არჩილ ბატონიშვილი ირანში გაიწვიეს, მან ისლამი მიიღო, რის შემდეგაც კახეთის სამეფოჩააბარეს. ამის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე ერეკლე ბატონიშვილი (თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) გამოდის. იგი 1662 წელს რუსეთიდან დაბრუნდა და თუშეთიდან კახეთში გამეფებას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. რუსეთის სამეფო კარის ფავორიტი ქართველი ბატონიშვილის გამოჩენის გამო, ირანის შაჰმა კახეთის სამეფო არჩილ ვახტანგის ძეს ჩააბარა. ქართლ-კახეთს ფაქტობრივად ვახტანგ V მართავდა, რომლის გაძლიერება ირანის შაჰს - სულეიმანს (1666-1694 წ.წ.) დიდად არ მოწონდა. შაჰმა ერეკლე ბატონიშვილი, როგორც ვახტანგისა და არჩილის მეტოქე ირანში დაიბარა. ირანის მბრძანებლის ხელდასხმით, 1674 წელს ერეკლე კახეთში ჩამოვიდა. არჩილმა კახეთს თავი მიანება და ოსმალთა დახმარებით, იმერეთის ტახტის დაბრუნებას შეეცადა (ოსმალთა მხარდაჭერით, იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდებას ცდილობდა არჩილის ძმა - ლუარსაბ ბატონიშვილი). არჩილი 1678-1679, 1690-1691, 1695-1696 და 1698 წლებში ოთხჯერ გამეფდა იმერეთში, მაგრამ ტახტი ვერ შეინარჩუნა. მან რამდენჯერმე მიმართა დახმარებისათვის რუსეთს, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და 1699 წელს რუსეთში გადასახლდა, სადაც 1713 წელს გარდაიცვალა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 349) და დაასაფლავეს მოსკოვის დონის მონასტერში).. არჩილ და ლუარსაბ ბატონიშვილების ოსმალეთთან არსებული კავშირის გამო, ირანის შაჰი ვახტანგ V-ს გაუნაწყენდა და ირანში დაიბარა. 1675 წელს სპარსეთში მიმავალი ქართველი მეფე გზაში გარდაიცვალა. იგი

ყუმში დაკრძალეს, სადაც მისი გამზრდელი და წინამორბედი - როსტომი განისვენებდა. ირანში წასვლის წინ, ქართლის გამგებლად ვახტანგმა თავისი ვაჟი - გიორგი ბატონიშვილი დანიშნა. ბერი ეგნატაშვილი გიორგი ვახტანგის ძეს ასე ახასიათებს: „ძლიერი გოლიათებრ, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგამომავალი. ასეთი სიტყუა ჰქონდა, მტერი მოყურად შეცვალის.“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 435). თუმცა ძმის მმართველობას ხელს უშლიდა ისპაჰანის მოურავად მყოფი, ირანში გაზრდილი მისი ძმა - ალექსანდრე (იმ დროს ისპაჰანის ტარულა), რომელსაც თვითონ სურდა ქართლში გამეფება. მალე ირანის შაჰმა სულეიმან I-მა ქართლის გამგებელი გიორგი თავის კარზე დაიბარა, ვალის თანამდებობაზე დასამტკიცებლად. 1676 წელს გიორგი ამ მიზნით ისპაჰანში ჩავიდა, ქართლის სამეფო კი მან თავის ერთ-ერთ ძმას - ლევან ბატონიშვილს ჩააბარა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „შემდგომად მამისა თვისისა წილ მოუწოდა ყეენმან გიორგის, ძესა მეფისასა, წინაშე თვისსა, რათა მისცეს ქართლი და მეფობა. მსმენელი გიორგი ძე მეფისა, წარვიდა წინაშე ყეენისა და დაუტევა ტფილისს გამგედ ქართლისა ძმა თვისი ლევან.“ (ბატონიშვილი, 1973: 456). ვახუშტისავე ცნობით, ირანის შაჰს განზრახული ჰქონდა, რომ ქართლის ტახტი გიორგისთვის არ გადაეცა და ის თეიმურაზ I-ის შვილიშვილისათვის, ერეკლე I-ისთვის ებოძებინა, მაგრამ ამას გიორგის ძმის, არჩილის ქმედებებმა შეუშალეს ხელი. სადგერში მყოფი არჩილი ქართლში გადმოვიდა და „იწყობა პეროზა ქართლისა“. ოსმალებთან შეკრული არჩილის წინააღმდეგობის გამო, ირანის შაჰი იძულებული გახდა 1677 წელს გიორგი ქართლის ვალის თანამდებობაზე დაემტკიცებინა. როგორც მივუთითებდით, გიორგის ირანში ყოფნის პერიოდში, კერძოდ, 1676-1677 წლებში, ქართლს მისი ძმა ლევან ბატონიშვილი განაგებდა [ნ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ლევან ბატონიშვილი უნდა დაბადებულიყო არაუადრეს 1652 და არაუგვიანეს 1656 წლისა (ჯავახიშვილი, 2020: 125)].

ბერი ეგნატაშვილის ცნობით: „ლევან იყო ბრძენი და მეცნიერი, შორდამ-ნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიერო წიგნითა.“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 435). გიორგი ბატონიშვილის, იგივე შაჰნავაზ II-ის დაბრუნების შემდეგ, ქართლი ფეოდალურ ანარქიას მოეცვა. ამას თან ერთვოდა არჩილ ბატონიშვილის (ახალციხის ფაშას დახმარებით) თავდასხმების საფრთხე. შაჰმა გიორგის ძმის - არჩილის შეპყრობა უბრძანა, თუმცა ქართლის მეფემ შაჰის დავალებას თავი აარიდა. განრისხებულმა ირანის მბრძანებელმა ქართლი 1688 წელს გამაჰმადიანებულ ერეკლე I-ს (ნაზარალიხანი - 1640-1709 წ.წ.) გადასცა. გიორგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, თუმცა 1691 წელს ისევ დაბრუნდა ქართლში და ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ, იგი იძულებული გახდა, 1696 წელს ირანის შაჰს ხლებოდა და მორჩილება გამოეცხადებინა. 1703 წელს ირანის შაჰმა სულთან ჰუსეინმა გიორგი ქართლის ვალის თანამდებობაზე აღადგინა, თუმცა ირანში დატოვა. მას აქ სპასალარობა და ყანდაარის (ავღანეთის) ბეგლარბეგობა ჩააბარეს. ჩამორთმეული ქართლის სანაცვლოდ, ირანის შაჰმა ერეკლე I ნაზარალიხანს კახეთი უბოძა. მალე ის ისპაჰანში დაიბარა და ყურალაღასად დანიშნა (ჯავახიშვილი, 2020: 128). ირანში მყოფ გიორგი ბატონიშვილს აჯანყებული ავღანელების მორჩილებაში მოსაყვანად

საბრძოლო ოპერაციების წინამძღოლობა დაევალა (კვაშილავა, 2020: 70-71). 1703 წელს გიორგი XI-მ შაჰს თხოვნით მიმართა, რომ ირანში მისი ყოფნისას ქართლი გიორგის ძმისთვის, ლევან ბატონიშვილისთვის ჩაებარებინა. ლევანს ქვეყნის მართვის გამოცდილება ჰქონდა. გიორგი XI-ის ჩანაფიქრით, ამ გეგმის განხორციელებამდე ქართლის სადავეები ლევანის ვაჟს - ვახტანგს (შემდგომში ვახტანგ VI) უნდა აეღო. ვახუშტის ცნობით: „რათა მისცეს აწვე განმგობა ქართლისა ვახტანგს და მერმე წარავლინონ ლევან ქართლს, რათა მან განაგოს საქმენი დაშლილნი მანდაურნი და წარუვლინოს სპანი ქართლისანი. მოხსენებულმან ყაენმან ესე ყოველი აღუსრულა გიორგი მეფესა.“ (ბატონიშვილი, 1973: 479). როგორც ჩანს, ვახტანგ უფლისწული ქართლში იმყოფებოდა და ლევანის ისპაჰანიდან ჩამოსვლამდე ქვეყანა სწორედ მას უნდა ემართა. ვახტანგის მმართველობა, ქართლის ჯანიშინად დამტკიცებული ლევანის გამოჩენამდე სულ ორ თვეს გაგრძელდა. ამ მოკლე დროის მიუხედავად, ვახტანგს მონეტებიც მოუჭრია. ნ. ჯავახიშვილის აზრით, რევერსზე გამოსახული ლომი ქართლის ჯანიშინს, ვახტანგის მამას - ლევანს განსახიერებდა, ხოლო ავერსზე გამოსახული ლომი - ირანის შაჰს: „ვეფიქრობთ, რომ ამ მონეტების მოჭრით ვახტანგმა თავის მამას ერთგვარი სიურპრიზი დაახვედრა“ (ჯავახიშვილი, 2020: 131). ქართლის ჯანიშინობას ლევანი 1703 წლის ივლისიდან შეუდგა. მისი მმართველობა 1704 წლის სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა (ქავთარია, 1960: 511)². 1704 წლის 26 სექტემბერს ლევანი თავის ვაჟთან - იესესთან ერთად, სპარსეთში წავიდა. ქართლის გამგებლობა კი მამისაგან ლევანის ვაჟმა - ვახტანგმა³ ჩაიბარა. ირანში ჩასულ ქართლის ჯანიშინს ძალზე რთულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. მას სარწმუნოება შეცვლილი ჰქონდა, მაგრამ შაჰი მაინც არ ენდობოდა და გამუდმებით უთვალთვალებდა. ლევან ბატონიშვილს კარგად ჰქონდა გააზრებული, რა ბედი ელოდათ ირანელთა დიდი ზეწოლის ქვეშ მყოფ ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენლებს. მან იმედის თვალი დასავლეთს მიაპყრო და კაპუცინი მისიონერების მეშვეობით, ვატიკანთან დაკავშირება სცადა. ირანიდან მისი სახელით რომის პაპთან მიწერ-მოწერა ძალზე სარისკო იყო, ამიტომ ისპაჰანში მყოფმა ლევანმა თავის ძეს - ვახტანგსა და, სავარაუდოდ, ბიძაშვილს - სულხან-საბა ორბელიანს სთხოვა, მისი სახელით წერილი მიეწერათ კათოლიკური სამყაროს მეთაურისთვის და საამისოდ ირანიდან ბეჭედდასმული სუფთა ფურცელი გამოუგზავნა. როგორც მივუთითებდით, აღნიშნული წერილი ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში ინახება და ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქართლის მდგომარეობის შესახებ. ლევან ბატონიშვილი რომის პაპს მამის, ვახტანგ V შაჰნავაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას აცნობს. როგორც ლევანი წერს, აღმოსავლეთ საქართველო ამ დროს ირანელებს ჰქონდათ დაპყრობილი და თბილისის ციხეში მათი გარნიზონი იდგა, რომელიც ქრისტიან ქართველებს ავიწროებდა. ქართლის სამეფო ტახტზე ასული გიორგი XI ირანელების ბატონობას ვერ ეგუებოდა. ლევან ბატონიშვილის წერილიდან ირკვევა, რომ ირანელი მეციხოვნეების შევიწროების გამო, ქართლის მეფეს მოღალატე ქართველები სპარსეთის შაჰთან აბეზლებდნენ. ირანის მბრძანებელმა

გიორგის XI-ს თავისი უმცროსი ძმა - ლევანი მძევლად მოსთხოვა. ქართველი ბატონიშვილი სპარსეთის ერთ-ერთ „ავს“ ციხე-სიმაგრეში გაუგზავნიათ. შაჰთან მძევლად წაყვანილი ბატონიშვილის ოჯახი, ტყვეობის შიშით, საქართველოდან გახიზნულა. ლევანი, როგორც პაპის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, დიდ გაჭირვებასა და ტანჯვაში ყოფილა. იგი აიძულეს, რომ ისლამი მიეღო, თუმცა ეს მხოლოდ გარეგნულად გაუკეთებია. ქართველი უფლისწული ამას ძალზე განიცდიდა. კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული ლევანი რომის პაპს მისთვის კათოლიკე სასულიერო პირის გამოყოფას სთხოვდა, რომელიც საერო ტანსაცმელით უნდა ყოფილიყო შემოსილი. არსებობდა საფრთხე, რომ მის ხელახლა გაქრისტიანებაზე ეჭვი აეღოთ და შაჰთან დაებეზღებინათ, რაც არა მხოლოდ ლევანისთვის, არამედ მისი ოჯახისთვისაც საფრთხის მომტანი იქნებოდა. წერილში ლევან ბატონიშვილი რომის პაპს ცოდვების მიტევებას და რწმენაში გაძლიერებას სთხოვდა, თუმცა მთავარი გზავნილი ჩვენი აზრით, პოლიტიკური დახმარების მიღება იყო.

დოკუმენტების ტექსტები და სტატიის ბიბლიოგრაფია დაიბეჭდება ჟურნალის მომდევნო გამოშვებაში.

შენიშვნები

1 ვახტანგ V-ის ძმისწული თამარი, როგორც აღვნიშნეთ, ცოლად ჰყავდა ლევან დადიანს, თუმცა მალე ლევანი იმერეთის მეფესთან - ბაგრატ IV-სთან დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა, რის შემდეგაც თამარი ბაგრატმა შეირთო ცოლად. როგორც ირკვევა, იგი მანამდე თამარის დაზე იყო დაქორწინებული. თამარს ეტრფოდა გურიის ენერგიული მთავარი გიორგი გურიელიც (1664-1684 წ.წ.). იგი ახალციხის ფაშას დახმარებით ცდილობდა იმერეთის მეფის დასუსტებას და მისთვის ცოლის წართმევას. ბაგრატი იძულებული გახდა გურიელისთვის თამარ მუხრანბატონის ასულთან შეემიწილი ქალიშვილი - დარეჯანი მიეთხოვებინა, თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც 1678 წელს იმერეთში არჩილ ვახტანგის ძე გამეფდა, მან თავისი ბიძაშვილი - თამარი პირველ მეუღლეს, ლევან III დადიანს დაუბრუნა. მალე ბაგრატმა არჩილის დამარცხება მოახერხა, იმერეთის ტახტი დაიბრუნა და დადიანს ისევ წართვა ცოლი. 1681 წელს, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი გურიელი იმერეთის ტახტზე ავიდა, ცოლს გაშორდა და თავისი სიდედრი - თამარი შეირთო ცოლად (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 352).

2 ლევან ბატონიშვილი ძალზე განათლებული იყო. ის აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. როგორც ნ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „ლევანმა შეადგინა „ვედრება“ იოანე ნათლისმცემლის, პეტრე-პავლესა და სხვა წმინდანებისადმი. თავის უფროს გვირგვინოსან ძმებთან - არჩილთან და გიორგისთან ერთად, ლევანმა საჭიროდ მიიჩნია ლექსიკური ნორმების დადგენა ქართული ენისათვის, რათა ის ენა უცხო სიტყვათა მოძალეებისაგან დაეცვა. 1685 წელს მათ ამ მამულიშვილური საქმის განხორციელება სულხან-საბა ორბელიანს მიანდევს. ამით ლევანი „ქართული ლექსიკონის“ ერთ-ერთ გავლენიან ხელშემწყობად მოგვევლინა.“ (ჯავახიშვილი, 2020:

125-126). ვახუშტი ასე ახასიათებს ლევან ბატონიშვილს: „ლევან იყო სიჭაბუკითგანვე ღვთისმოყუარე, ბრძენი და სიბრძნის მოყუარე, ეკლესიათა მაშენებელი, მამკობელი, მდაბალი და ბოროტისა არა მომხსენებელი, მოწყალე, მშვიდი, ღრმად განმსიჯველი და მოუბარი. ამან განაგნა ყოველნი საქმენი ქართლისანი.“ (ბატონიშვილი, 1973: 479).

3 ლევანი ორჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი მეუღლე თუთა ქაიხოსროს ასული გურიელი გახლდათ, რომელიც ცოლად შეირთო 1672 წელს. თუთასთან ლევანს სამი ვაჟი და ერთი ასული ჰყავდა: ქაიხოსრო (მომავალი მეფე ქაიხოსრო I (1674-1711 წ.წ.), ვახტანგი (ვახტანგ VI (1675-1737 წ.წ.), მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1676-1742 წ.წ.) და ქალიშვილი - ხვარამზე. 1678 წელს ლევანს პირველი მეუღლე გარდაეცვალა და ორი წლის შედეგ ცოლად შეირთო თინათინ გიორგის ასული ავალიშვილი, რომელთანაც შეეძინა სამი ვაჟი: იესე (მომავალი მეფე იესე I (1682-1727 წ.წ.), სვიმონი (მომავალი გამგებელი (1682-1741 წ.წ.) და თეიმურაზი (1688-1710 წ.წ.). ლევანს რამდენიმე შვილი ჰყავდა ასევე მხევლებთან (ჯავახიშვილი, 2020: 134).